ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი სტუმრები





## გუშინ...

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვია სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი, საბჭოთა კავშირის გმირი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. შონინი. თბილისის აეროდრომზე ძვირფას სტუმარს შეხვდნენ საქართველოსა და თბილისის ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები.

სახელმოხვეჭილი კოსმონავტი ჩვენს ქალაქს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მოწვევით ესტუმრა. მას იმავე დღეს ჰქონდა განზრახული დასასვენებლად ბაკურიანში წასვლა, მაგრამ გაიგო თუ არა, თბილისში ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი იწყებაო, გამგზავრება 8 თებერვლამდე გადადო.

სურათზე (მარცხნიდან): ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბალავაძე, ფიზკულტურის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე, გ. შონინი და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე თბილისის აეროპორტში.

* * *

ხვალ, როგორც ცნობილია, თბილისის სპორტის სასახლეში იწყება ძიუდოისტთა პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რამდენიმე ქვეყნის გამოჩენილი ათლეტები მიიღებენ მონაწილეობას. გუშინ თბილისში ჩამოვიდა ტურნირის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. მარჯვენა სურათზე თქვენ ხედავთ ჰოლანდიის, გდრ-ისა და პოლონეთის ძიუდოისტებს თბილისის აეროპორტში. მარცხნიდან მესამე — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ჰოლანდიელი ვ. რიუსკა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## ნაკრებმა — 0:1

კარაკასი, 4 თებერვალი. თავისი სამხრეთამერიკული ტურნე სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა წაგებით დაიწყო: აქ გამართულ პირველ მატჩში იგი რიოდე-ჟანეიროს „ბოტაფოგოს" შეხვდა და მარცხის სიმწარე იწვნია — 0:1. რუდაკოვის კარში ეს ერთადერთი ბურთი 43-ე წუთზე გაიტანა თავდამსხმელმა რობერტომ. საბჭოთა გუნდში, აგრეთვე, თამაშობდნენ: ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ლოვჩევი, ხურცილავა, სერებრიანიკოვი, მუნტიანი, ასათიანი, პუზაჩი, გერშკოვიჩი და ნოდია.

## ოლიმპიური სულისკვეთების წინააღმდეგ

ბერლინი, 3 თებერვალი. გფრ-ის მმართველმა წრეებმა კვლავ მოაწყვეს რევანშისტული გამოხდომა, ამჯერად — 1972 წლის ოლიმპიადასთან დაკავშირებით. გფრ-ის ფინანსთა მინისტრმა მელერმა ბრძანება გასცა მოჭრან ოლიმპიური მონეტები წარწერით: „1972 წლის XX ოლიმპიური თამაშები გერმანიაში".

ეს წარწერა, — ხაზგასმით აღნიშნავს თავის განცხადებაში ადნ-ს სააგენტო, — ეწინააღმდეგება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წესდებასა და პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ოლიმპიური თამაშების ჩატარება ევალება არა ქვეყნებს, არამედ ქალაქებს (მაგალითად, XX ოლიმპიადა მიუნჰენში უნდა გაიმართოს). ამასთან, გფრ-ის ოფიციალურ ენაში სიტყვა „გერმანია" ესმით, როგორც გერმანია 1937 წლის საზღვრებში.

ბონის მთავრობის ეს ნაბიჯი სხვა არაფერია, თუ არა სურვილი, რომ ოლიმპიური თამაშები დასავლეთგერმანული იმპერიალიზმის რევანშისტული მიზნებისთვის გამოიყენონ. (საქდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 25 (4019)

1970 წ. 5 თებერვალი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჩვენი ქვეყნის ოლქებში

## ტურიზმის მიმზიდველი ძალა

ამურის ოლქში ტურიზმი ყველაზე „ახალგაზრდა" სახეობაა, მაგრამ მან უკვე მოიპოვა პოპულარობა. ახლა ტურიზმს 40 ათასზე მეტი კაცი მისდევს. მათ ასობით ლაშქრობა და მოტოგადარბენა მოაწყვეს.

შინაარსიან ლაშქრობებს აწყობს ტურისტული კლუბი „პარუსი", რომელიც ბლაგოვეშჩენსკის სამდინარო სასწავლებელში შეიქმნა. ამ კლუბის წევრებმა საინტერესო მასალა შეაგროვეს ოლქის მდინარეებზე, ახლა კი დიდი ლაშქრობისთვის ემზადებიან მდინარე ენისეიზე.

ბლაგოვეშჩენსკის, სვობოდნის, რაიჩიხინსკის, ოლქის სხვა ქალაქებისა და სოფლების ტურისტებმა გადაწყვიტეს საგაზაფხულო-საზაფხულო სეზონისთვის 80 ადგილობრივი მარშრუტით იმოგზაურონ. 2500 მოგზაური საკავშირო მარშრუტს არჩევს. მათს განკარგულებაშია ოთხი სპეციალური მატარებელი.

ახლა ოლქში ტურისტებსა და ბუნების მოყვარულებს ემსახურება 50-მდე ბაზა, მონადირისა და მეთევზის სახლი, რომლებიც საწარმოებისა და სასწავლებლების მიერაა აგებული.

ა. ტროფიმოვი.
(საქდესის კორ.).

ბლაგოვეშჩენსკი.

## დონეცკელი „თოვლის ჯიქი"

„მოსიმაღლე მთამსვლელის" საპატიო სამკერდე ნიშანი უკრაინაში პირველმა დონეცკის მაღაროთა გეოლოგიის სამმართველოს რადიომექანიკოსმა ბ. სივცოვმა მიიღო. ამ სამკერდე ნიშნის კავალრებს — მთამსვლელებს, რომლებიც სსრ კავშირის ოთხივე „შვიდათასიანზე" არიან ასული, „თოვლის ჯიქებს" ეძახიან.

გამარჯვების პიკზე (7439 მ) იერიშით დონეცკელ მემაღაროეთა გუნდმა სივცოვის მეთაურობით ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა.

სივცოვს აქვს მეორე, საზოგადოებრივი დავალებაც: იგი მთამსვლელთა საოლქო ფედერაციის თავმჯდომარეა, ამას გარდა, უკვე 15 წელია წვრთნის მემაღაროელთა გუნდს, რომლის უცვლელი კაპიტანიც თვითონ არის. დონეცკის ოლქში უკვე 15 სპორტის ოსტატია მთამსვლელობაში და თითქმის ყველა სივცოვის ხელმძღვანელობითაა მომზადებული. სამმა ოსტატმა ნორმა ამას წინათ, გამარჯვების პიკზე შეასრულა.

ი. დიაჩკოვა.
(უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორ.).

დონეცკი.

## ზ. ჩაჩავა — საუკეთესოთა შორის

სსრ კავშირის წყალბურთის ფედერაციამ განიხილა შარშანდელი სეზონის შედეგები და ქვეყნის საუკეთესო არბიტრებიც დაასახელა. ამ სიაში შევიდნენ 5 ქალაქის სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომელთაც ერთ-ერთი ყველაზე ძნელი სახეობის სირთულეთა ნიუანსები კარგად ესმით.

აი, საუკეთესოებიც (ანბანის მიხედვით): მუკაჩოვოს „სპარტაკის" თავმჯდომარე ვ. ვემელინი, ერევნელი მწვრთნელი ს. კოჩარიანი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ე. ლებედევი (მოსკოვი), ოფიცერი დ. პოპოვი, საკავშირო რადიოს კომენტატორი ვ. რაშმაჯანი, მასწავლებლები ი. სომოვი, ი. ტომოვი და ა. ტროხინი, თბილისელი არქიტექტორი ზ. ჩაჩავა და ყაზახეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკი ვ. ჩერნოვი.

# დიდი ტანვარჯიშული წელიწადი

ტანმოვარჯიშეები მსოფლიო ჩემპიონატებს ოთხ წელიწადში ერთხელ აწყობენ და ამ შეჯიბრებისთვის განსაკუთრებით გულმოდგინედ ემზადებიან. ჩემპიონატის წელს, ჩვეულებრივ, ნაკლები საერთაშორისო შეხვედრა ტარდება „უმაღლეს დონეზე": მთავარი მეტოქეები ძალებს პირველობისთვის ინახავენ.

გამონაკლისი არც 1970 წელი იქნება. მსოფლიო ჩემპიონატი შემოდგომით ჩატარდება იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანაში, მშვენიერ სპორტის სასახლე „ჰალა ტივოლიში", სადაც უკვე გაითამაშეს თავიანთი მსოფლიო პირველობა ჰოკეისტებმა, ხოლო მარტში მსოფლიოში უძლიერესი ფიგურისტები შეხვდებიან ერთმანეთს.

ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეჯიბრებას საბჭოთა ტანმოვარჯიშეები ჩაატარებენ აპრილში, როცა გდრ-ში ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი და საბჭოთა კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები. საერთაშორისო შეხვედრებიდან უნდა აღვნიშნოთ საბჭოთა იუნიორთა გამოსვლა იუგოსლავიაში, „ოლიმპიური იმედების" ტურნირში.

რა საინტერესო შეხვედრებია გათვალისწინებული საკავშირო კალენდარში?

21-22 თებერვალს კიევში მოეწყობა ტურნირი-კონკურსი ქვეყნის წამყვანი ტანმოვარჯიშეების მონაწილეობით. აქ შეფასდება არა სპორტსმენთა წარმატება მრავალჭიდში ან ცალკეულ იარაღებზე, არამედ ორიგინალური კომბინაციები, ვარჯიშის საინტერესო ელემენტები.

მაისის ბოლო კვირაში მინსკში გაიმართება სსრ კავშირის ჩემპიონატი მრავალჭიდში. ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შესარჩევი შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატისთვის და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მასში, ბოლო წლებისგან განსხვავებით, საბჭოთა კავშირის ყველა წამყვანი ტანმოვარჯიშე გამოვა (სხვათა შორის, საბჭოთა ნაკრებში ვორონინებისა და კარასიოვების შემდეგ გაჩნდა კიდევ ერთი წყვილი: ლარისა პეტრიკი და ვიქტორ კლიმენკო შეუღლდნენ).

15-22 აგვისტოს მოსკოვში გათამაშდება სსრ კავშირის თასი და ჩატარდება ქვეყნის ჩემპიონატი მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში.

საქდესი მოგვითხრობს

ბაკურიანი. ამ სიტყვის გაგონებაზე არ შეიძლება სასიამოვნო გრძნობამ არ შეგიპყროთ. ფაფუკი თოვლი, სათხილამურო ბილიკები, ყინულის საციგურაო... ყველაფერი ეს გიტაცებთ და გული მიგიწევთ ჩვენი შესანიშნავი ზამთრის სააგარაკო ადგილისკენ.

წლევანდელ სეზონში უზომოდ გაიხარეს ზამთრის სპორტის მოყვარულებმა. ჯერ იყო და, ახდა „მფრინავ მოთხილამურეთა“ დიდი ხნის ოცნება: საექსპლოატაციოდ გადაეცა 90-მეტრიანი ტრამპლინი, თანაც, აქ მოწყობილი პირველი შეჯიბრება დიდი მასშტაბისა გამოდგა: სსრ კავშირის თასის დასაკუთრებისთვის ერთმანეთს ებრძოდნენ უძლიერესი მხტომელები. შედეგებიც საუკეთესო იყო. ახალმა ტრამპლინმა გამოცდა ფრიადზე ჩააბარა. იგი ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარეს.

ის-ის იყო მინელდა ტრამპლინიდან მხტომელთა შეჯიბრებებით გამოწვეული აჟიოტაჟი, რომ ბაკურიანმა ახლა სსრ კავშირის უძლიერეს მრბოლელებს გაუწია მასპინძლობა. სპორტსმენებს თითქოს ბუნებამაც ხელი შეუწყო: შეჯიბრების წინა დღეებში ისეთი ხვავრიელი თოვლი მოვიდა, უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა.

საკავშირო პირველობის მონაწილეებს ბაკურიანში არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტებიც მიემატნენ და თითქმის დაბას მთლიანად ახალგაზრდობა დაეპატრონა.

ეს ყველაფერი წარმტაცია, სიამის მომგვრელი. მაგრამ ჩვენ იმაზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, რაც კარგ გუნებას აფუჭებს.

## სიძველეთა მუზეუმი

ამ ბოლო ხანს ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა მოსახლეობის კეთილმომსახურებისთვის. ბაკურიანშიც გაიხსნა სპორტული ინვენტარისა და აღჭურვილობის გასაქირავებელი პუნქტი. მაგრამ იგი სიძველეთა მუზეუმს უფრო წააგავს. გასაქირავებელი სათხილამურო ფეხსაცმელი, ალბათ, დიდი ხნის წინათაა შეძენილი, რადგან რამდენჯერმე შეკეთების კვალი აზის. თხილამურებსაც ვერ აარჩევს კაცი სახეობის მიხედვით. სწუხან ბაკურიანში სტუმრად მყოფი ახალგაზრდები, ისინი, ვინც ვერ მოახერხა საკუთარი სახსრებით წინასწარ ეყიდა სათხილამურო აღჭურვილობა.

პარკში მდებარე გამქირავებელ პუნქტში მუდამ ხალხმრავლობაა. აქ სიამოვნებით შედიან ზამთრის სპორტის სახეობათა მოყვარულნი. და შესვლისთანავე ცუდი გრძნობა იპყრობთ. ხშირად მოისმენთ ასეთ დიალოგს:

— ეს ფეხსაცმელი ძველია, თხილამურიც არ არის ისეთი, როგორიც ჩვენ გვინდა.

— დიდი ხანია ახალი საქონლით არ მოვუმარაგებივართ. ვაქირავებთ იმას, რაც რამდენიმე წლის წინათ გადმოგვცეს...

## უპატრონო ეკლესიას...

უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონნენო, — ასე უთქვამს ქართველ კაცს. ეს გამოთქმა ზუსტად შეეფერება ბაკურიანის „დინამოს“ ყინულის საციგურაოს. დილისა და საღამოს საათებში აქ ხალხმრავლობაა. ციგურებით სრიალებენ მოზრდილებიცა და ნორჩებიც. საღამოს საათებში ამ სპორტულ ბაზას განსაკუთრებით ბევრი სტუმარი ჰყავს. მაგრამ მოციგურავეთა უმრავლესობას არ გაეგება სპორტის ამ სახეობის ანბანი. აი, ეს ახალგაზრდა, ეტყობა, პირველად დადგა ყინულის სარბიელზე, ზედმეტი გამბედაობა გამოიჩინა, წაიბორძიკა და თავი ყინულის მოედანს დაარტყა.

— ექიმი! — იყვირა ვიღაცამ.

მთქმელს აქეთ-იქიდან სიცილი დააყარეს. ისევ დაზარალებულის მეგობრებმა იმარჯვეს, რომლებმაც მას თოვლით დაუზილეს ნაიარევი. სარბიელზე მოციგურავეები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ეცემოდნენ. ამ დროს მაყურებლების გულისწყრომის ხმა დაირხა:

— რაში გვახდევინებენ ათ კაპიკს? შეჯიბრება რომ იყოს, არაფერს იტყოდა კაცი. საციგურაოზე არეულობის სანახავად ათკაპიკიანი ბილეთები რატომ უნდა შევიძინოთ?

თბილისის „დინამოს“ სტადიონის ძველი ათკაპიკიანი ბილეთებით „შეიარაღებული“ ბაზის თანამშრომელი „ურჩ“ მაყურებლებს საციგურაოდან აძევებდა.

## მარხილები, მარხილები...

ბაკურიანის გზებსა და სათხილამურო ბილიკებს ახალგაზრდობის ჟრიამული ავსებს. დილაადრიან იწყება სპორტის მოყვარულების სვლა კოხტაგორისკენ, ახალი ტრამპლინისკენ. ვინ ფეხით მიდის, ვინ მარხილებით. რა სასიამოვნოა ცხენებშებმული მარხილით რომ მიიკვლევ თოვლიან გზას. ძალიან სასიამოვნოა მანამდე, სანამ მემარხილე არ მოგთხოვს ამ სიამოვნების საფასურს:

— 3 მანეთი.

გაიკვირვებ. სასტუმროდან თუ ტურბაზიდან ახალ ტრამპლინამდე სულ რაღაც ორიოდე კილომეტრია და ერთბაშად 3 მანეთი უნდა ჩაუჯიბო მარხილის მფლობელს.

### ჟურნალისტის ბლოკნოტიდან

— თუ გეძვირება, ფეხით უნდა იარო!

გწყინს, ჭკუას რომ გასწავლის ფულს დახარბებული მემარხილე.

წინათ ბაკურიანის რკალურ ტრასას ავტობუსები ემსახურებოდა. მაგრამ, ნუ იტყვით, ზარალში იყო სათანადო ორგანიზაცია. აიღეს და ავტობუსები გააუქმეს, ნება დართეს კერძო მარხილების მფლობელებს ავტობუსების მაგივრობა გაეწიათ. მათაც სამგზავრო ტარიფი ისე ასწიეს, ერთხელ ამ ტრანსპორტით რომ იმოგზაურებ, მეორედ ველარ გაბედავ.

მშვენიერია ბაკურიანი. ხვავრიელი თოვლი, ახალგაზრდების ჟივილი, ახალი სპორტული ბაზა, კომფორტაბელური სასტუმრო, ტურბაზა, პანსიონატი „სპორტი“... მაგრამ აი, ეს ადვილად მოსაგვარებელი „წვრილმანებია“, კარგ გუნებას რომ აფუჭებს.

ზ. ჯანდიერი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

# ის, რაც კარგ გუნებას აფუჭებს

## ფეხბურთელები ემზადებიან

# ტორპედოელები ლესელიძეს გაემგზავრნენ

ადრინდელ წლებზე გაცილებით ადრე, 23 დეკემბრიდან შეუდგნენ მზადებას ახალი სეზონისთვის ქუთაისის „ტორპედოს“ ოსტატი ფეხბურთელები, რომელთაც ახლა სათავეში უდგანან უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. კოტრიკაძე და მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ი. გრამატიკოპულო. ღია ცის ქვეშ მიმდინარეობდა წვრთნა საერთო ფიზიკური მომზადების ასამაღლებლად, საერთოგანმავითარებელი ვარჯიშები, წვრთნა ბურთით და ა. შ.

1 თებერვალს ქუთაისის „ტორპედო“ გაემგზავრა ლესელიძეში, სადაც დარჩება 5 მარტამდე. იქ დაგეგმილია საკონტროლო შეხვედრები მოსკოვის თანაკლუბელებთან, ცსკა-სთან, მინსკის „დინამოსთან“ და სხვა გუნდებთან. შემდეგ ქუთაისელები დაბრუნდებიან შინ და 8 მარტს საკუთარ მინდორზე საწვრთნელ მატჩს ითამაშებენ უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდთან.

კოლექტივში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. წავიდა ნახევარმცველი ბლინკოვი, ხოლო ტორპედოელთა რიგებს შეემატნენ თავდამსხმელები მესხაძე (გორის „დილა“) და დელბა (სოხუმის „დინამო“), აგრეთვე, მცველები — ბოკუჩავა და გოგიაშვილი (ორივე — სოხუმის „დინამო“), მეკარე გოგია (რუსთავის „მეტალურგი“).



სურათზე: ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა წვრთნის ერთი მომენტი.

ტექსტი და ფოტო
ო. ბერეჩიკიძისა.

ქუთაისი.

## შეხვედრა მინსკის დინამოელებთან

ოჩამჩირე, 2 თებერვალი (ჩვენი კორ.). აქ საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება „ა“ კლასის II ჯგუფის ახალი ბინადარი — გორის „დილის“ ფეხბურთელთა კოლექტივი.

გორელ ფეხბურთელებს საწვრთნელი შეხვედრა ჰქონდათ მინსკის „დინამოსთან“. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს დინამოელებმა. ბურთები გაიტანეს ვასილიევმა (2) და ეზუხბაიამ.

რ. ჭედია.

## [illegible] სპორტიდან

### ✦ სოხუმი

აქ დამთავრდა მოშაშეთა პირად-გუნდური (თითოეულ კოლექტივში — 2 ვაჟი, 1 ქალი) პირველობა, რომელშიც მონაწილეობდნენ გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმისა და გუდაუთის რაიონების წარმომადგენლები. გაიმარჯვეს გალელებმა. პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი ხვდა გულრიფშის რაიონის სოფ. მაჭარის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომს ვ. ქირიას, ქალთა შორის — გულრიფშელ ნ. გამსახურდიას.

შ. ჯალაღონია.

### ✦ თელავი

აქ დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფრენბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ 16 საშუალო სკოლის გუნდები. გოგონებში I ადგილი დაისაკუთრეს ადგილობრივი რუსული საშუალო სკოლის სპორტსმენებმა, ჭაბუკებში ჩემპიონები გახდნენ იყალთოს საშუალო სკოლის ფრენბურთელები.

მ. მეტრეველი.

# 33 საუკეთესო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 33 საუკეთესო ფეხბურთელი 1969 წლის სეზონის შედეგების მიხედვით.

მეკარეები: 1. ე. რუდაკოვი (კიევის „დინამო“), 2. ა. კავაზაშვილი („სპარტაკი“), 3. ლ. იაშინი (მოსკოვის „დინამო“).

მარჯვენა მცველები: 1. რ. ძოძუაშვილი (თბილისის „დინამო“), 2. გ. ლოგოფეტი („სპარტაკი“), 3. ვ. შტაპოვი (მოსკოვის „დინამო“).

მარჯვენა ცენტრალური მცველები: 1. ა. შესტერნიოვი (ცსკა), 2. ვ. ივანოვი („სპარტაკი“), 3. ვ. სოსნიხინი (კიევის „დინამო“).

მარცხენა ცენტრალური მცველები: 1. მ. ხურცილავა (თბილისის „დინამო“), 2. ვ. კაპლიჩნი (ცსკა), 3. ს. კრულიკოვსკი (კიევის „დინამო“).

მარცხენა მცველები: 1. ე. ლოვჩევი („სპარტაკი“), 2. ვ. აფონინი (ცსკა), 3. ვ. ზიკოვი (მოსკოვის „დინამო“).

მარჯვენა ნახევარმცველები: 1. ვ. მუნტიანი (კიევის „დინამო“), 2. ვ. პაპაევი („სპარტაკი“), 3. ა. ესკოვი (როსტოვის ასკ).

ცენტრალური ნახევარმცველები: 1. კ. ახთიანი (თბილისის „დინამო“), 2. ნ. კისელიოვი („სპარტაკი“), 3. ვ. ლარინი (მოსკოვის „დინამო“).

მარცხენა ნახევარმცველები: 1. ფ. სერებრიანიკოვი (კიევის „დინამო“), 2. ვ. კალინოვი („სპარტაკი“), 3. ა. ბოგოვიკი (კიევის „დინამო“).

მარჯვენა თავდამსხმელები: 1. მ. გერშკოვიჩი (მოსკოვის „ტორპედო“), 2. ა. პუზაჩი (კიევის „დინამო“), 3. ვ. კოზლოვი (მოსკოვის „დინამო“).

ცენტრალური თავდამსხმელები: 1. ა. ბიშოვეცი (კიევის „დინამო“), 2. ნ. ოსიანინი („სპარტაკი“), 3. ა. ზინჩენკო (როსტოვის ასკ).

მარცხენა თავდამსხმელები: 1. გ. ნოდია (თბილისის „დინამო“), 2. ვ. ხმელნიცკი (კიევის „დინამო“), 3. გ. ჰუსაინოვი („სპარტაკი“).

## რვა სამართლიანი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაასახელა 8 საუკეთესო მსაჯი შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით. ანბანის რიგზე სიაში შევიდნენ კ. ანძიულისი (კაუნასი), ს. არხიპოვი (მოსკოვი), ტ. ბახრამოვი (ბაქო), პ. გავრილიადი (სოჭი), ა. ივანოვი (ლენინგრადი), პ. კაზაკოვი (მოსკოვი), კ. ყრუაშვილი (თბილისი), ე. ჰიარმსი (ტალინი).

ეროვნული ბიბლიოთეკა




სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

# ორი მიკროტურნირის საქმენი

როგორც უკვე ვიუწყებოდით, კაუნასსა და კიევში დამთავრდა ვაჟთა ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები. გუნდებმა ადრე ჩატარებულ თერთმეტ კალენდარულ მატჩს კიდევ 5 ახალი დაუმატეს და XXXVII ჩემპიონატის ეკვატორს მიადგნენ. დადგა ერთთვიანი არდადეგების ხანა, რასაც კლუბების უმრავლესობა შინაური საქმეების მოგვარებას მოახმარს, ზოგი კი, და, მათ შორის, თბილისის „დინამო", ევროპულ ტურნირში ბრძოლის თადარიგს შეუდგება.

მეორე წრის პირველმა სტარტებმა, ცხადია, ერთმანეთის საწინააღმდეგო ემოციები გამოიწვია ჯერ თვით მონაწილეებშიც, რომ არაფერი ვთქვათ გულშემატკივრებზე, რომლებიც ასეთ დროს მუდამ საგანგებო მზადყოფნაში არიან. უკრაინელი მოყვარულების მდგომარეობა გასაგებია: საკუთარ ქალაქში მათ ბევრი უსიამოვნო წუთი განიცადეს და ახლა, როცა ბრძოლის ველი დაცარიელდა, ალბათ ნელ-ნელა გონს მოდიან.

კიევში, ისევე როგორც ყველა იმ ქალაქში, სადაც „ა" კლასის უმაღლეს ლიგას ორი ადგილობრივი გუნდი ემსახურება, მაყურებლების სიმპათიები გაყოფილია. მაგრამ გულშემატკივრობის საუწყებო პრინციპი უმალ მეორე პლანზე გადადის, როცა საქმე რესპუბლიკის ინტერესებს ეხება. აქ ერთსულოვნება ლოგიკურიცაა და გასაგებიც.

როცა კიევის არმიელებმა მეორე წრის მატჩი წააგეს „სტროიტელთან", ბევრი გულშემატკივარი თავს უბედურად თვლიდა. მაგრამ როცა იმავე „სტროიტელისა" და ცსკა-ს ორთაბრძოლაში სასწორზე დადგა ლიდერის ღირსება, მაყურებელთა სიმპათიები ორ აზრს აღარ იწვევდა. 30 იანვრის მარცხმა კი („კალევთან" — 23 ქულით) საბოლოოდ გატეხა უკრაინელ გულშემატკივართა ენთუზიაზმი და ოპტიმიზმი.

კიევის ჯგუფში მართლაც ბევრი გასაკვირი რამ მოხდა, მაგრამ ყველაზე მოულოდნელი იყო ადგილობრივი გუნდების მარცხი. ორიოდე კვირის წინ ვინ იფიქრებდა, რომ „სტროიტელი", რომელმაც ასე დამაჯერებლად იტვირთა ჩემპიონატის ლიდერის არც ისე ადვილი როლი, საკუთარ ქალაქში ფეხს წაიტეხდა? ლიდერმა 5 თამაშიდან მხოლოდ 3 ქულა აიღო და მიკროტურნირში მისთვის აშკარად შეუფერებელი, III ადგილი დაიკავა. პარადოქსულია ამის გაფიქრებაც კი, მაგრამ კოვალენკოს მისვლამ „სტროიტელს" თითქოს საფუძველი შეურყია.

კიდევ უფრო მოულოდნელი იყო არმიელთა ფიასკო. ჩვენი აზრით, ეს წლევანდელი ჩემპიონატის მთავარი სენსაციაა. გუნდი, რომელიც მუდამ უხერხული და მრისხანე მეტოქე იყო ლიდერებისთვის (განსაკუთრებით კი ცსკა-სთვის), რომელიც მუდამ გამოირჩეოდა მაღალი ოსტატობითა და, რაც კიდევ უფრო მთავარია, ბრძოლისუნარიანობით, მთლიანად სახეშეცვლილი წარსდგა გულშემატკივრების წინაშე. 5 შეხვედრა — 5 მარცხი, მათ შორის, აუტსაიდერებთან (სვერდლოვსკისა და რიგის გუნდებთან).

კიევის ჯგუფში გამარჯვებული ცსკა ბოლოს და ბოლოს სათავეში მოექცა ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს. ამ მაღალი კლასის კოლექტივს მუდამ ჰქონდა და აქვს შეურიგებელი ხასიათი. ცსკა იბრძვის მაშინაც, როცა სხვებს ხელი აქვთ ჩაქნეული, ცსკა ეძებს მაშინაც, როცა ყველაფერი თითქოს ცხადია და ნათელი. და სწორედ ამიტომ, ცსკა მუდამ პოულობს იმას, რაც სხვებისთვის დამალულია და მიუწვდომელი.

ესტონელ კალათბურთელთა გააქტიურებაც სავსებით კანონზომიერია. „კალევს" ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ყველაფერი, რასაც თანამედროვე კალათბურთს ვუწოდებთ. მას არ ჰქონდა მხოლოდ ერთი რამ — სიმაღლე. ეს პრობლემა გუნდში ჯერ მთლიანად არცაა გადაწყვეტილი, მაგრამ ისეთი გამოცდილი ცენტრალური თავდამსხმელის მოსვლა, უფრო სწორად, დაბრუნება, როგორიც ლიპსოა, უნდა დასტყობოდა კოლექტივს. და აკი დაეტყო კიდეც (4 ქულა 5 მატჩიდან).

უსენსაციოდ არც კაუნასის ჯგუფი გადარჩა, მაგრამ გააჩნია, რას უფრო დიდ მოულოდნელობად ჩავთვლით: „ჟალგირისის" წარმატებას, თუ მოსკოვის „დინამოს" წარუმატებლობას?

ჩვენი აზრით, კაუნასელთა 5 ქულა მეტნაკლებად ლოგიკურია: ჯერ ერთი, „ჟალგირისი" შინ თამაშობდა, ეს კი ლიტვის სინამდვილეში ბევრ რასმე ნიშნავს, შემდეგ, გუნდი ბოლო ხანს უდავო აღმავლობას განიცდის. და ბოლოს, ამ ტურში, ისევე როგორც ადრე, შეუდარებელი იყო ლიტველთა ლიდერი პაულაუსკასი.

გამოდის, რომ მოსკოვის „დინამო" უფრო ყოფილა სენსაციის ავტორი, ვიდრე „ჟალგირისი". დიახ, ჩვენც ასე ვფიქრობთ. სსრ კავშირის დედაქალაქის კალათბურთელებმა ბრწყინვალედ დაამთავრეს პირველი წრე და ბევრი აღტაცების სიტყვა თუ რეცენზია დაიმსახურეს. მაგრამ იმ თბილ სიტყვებშიც კი, რომელთაც მიმომხილველები უხვად ურიგდებდნენ აღმავლობის გზაზე მყოფ კალათბურთელებს, იგრძნობოდა ერთგვარი სიფრთხილე, თუ გნებავთ, შიში იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერი შესაძლოა წყალში გადაიყაროს.

„დინამო" დღეს რამდენიმე წამყვანი წევრის გარეშე თამაშობს. გუნდისთვის განსაკუთრებით მტკივნეულია პეტროვისა და ნიკიტინის დროებითი არყოფნა. მაგრამ ამას წარუმატებლობის მიზეზად ვერ დავასახელებთ თუნდაც იმიტომ, რომ „ჟალგირისთან" მატჩში მათ ულიდერობა არ ეტყობოდათ. „დინამოს", ჩვენი აზრით, სხვა უფრო სერიოზული სენი სჭირს. იგი ხასიათის, განწყობის გუნდია, რომელიც კონტროლს ვერ უწევს თავის გრძნობებს. კაუნასში მას შთაგონებამ უმტყუნა და გუნდიც, როგორც საბრძოლო ერთეული, გაქრა.

კაუნასიდან ჩამოსვლის შემდეგ ვესაუბრეთ თბილისის „დინამოს" მწვრთნელს ლ. ინწკირველს. მან დინამოელთა თამაშის ერთგვარი სტაბილიზაცია აღნიშნა და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა „ჟალგირისთან" მატჩს. წაგების მიუხედავად, თბილისელებმა სწორედ ამ მატჩში დატოვეს კარგი შთაბეჭდილება, პირველ ყოვლისა, თამაშის სიღრმითა და ეფექტურობით (ეს კი ქულებზე მეტად სჭირდება გუნდს, რომელსაც წინა აქვს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალური მატჩი ვარშავის „პოლონიასთან").

ორი მეტად საჭირო ქულა აიღო თბილისის „ბურევესტნიკმაც", რომელიც ამჯერადაც მხოლოდ უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის იბრძვის. „ბურევესტნიკი" უახლოეს კონკურენტებს (რიგის არმიელებს, ალმა-ათის „ლოკომოტივსა" და სვერდლოვსკის „ურალმაშს") 2 ქულით უსწრებს. ეს არც ისე ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ, ჯერ ერთი, მეორე წრის დასკვნითი ტური თბილისში ეწყობა, და შემდეგ, მესამე წრის ერთ-ერთ მატჩს (სახელდობრ, რიგის გუნდთან) ასევე თბილისში ჩაატარებს.

**ნ. გუგუშვილი.**

* * *

ახლა კი გთავაზობთ მეორე წრის მიკროტურნირების ცხრილებს:

### კაუნასის ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 5 | 5 | 0 | 446—381 | 5 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 5 | 4 | 1 | 398—349 | 4 |
| „დინამო" (თბილისი) | 5 | 3 | 2 | 400—397 | 3 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 5 | 2 | 3 | 364—407 | 2 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 5 | 1 | 4 | 385—401 | 1 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 5 | 0 | 5 | 341—399 | 0 |

### კიევის ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 5 | 0 | 422—340 | 5 |
| „კალევი" (ტარტუ) | 5 | 4 | 1 | 449—377 | 4 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 5 | 3 | 2 | 389—387 | 3 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 5 | 2 | 3 | 365—412 | 2 |
| ასკ (რიგა) | 5 | 1 | 4 | 342—408 | 1 |
| ასკ (კიევი) | 5 | 0 | 5 | 351—394 | 0 |

# მიზნისკენ—კიდევ ერთი ნაბიჯი

სსრ კავშირის ცურვის ფედერაციამ შეჯიბრების წესებში საკმაო ცვლილებები შეიტანა: წლეულს ყველა ასპარეზობა 25-მეტრიან აუზში უნდა ჩატარდეს. იმისთვის, რომ საკავშირო ასპარეზობაში მიიღოს მონაწილეობა, მოცურავემ უნდა გაიაროს გზა აუზის პირველობიდან საკავშირო შეჯიბრებამდე. ის, ვინც აუზის პირველობაში 12 საუკეთესოს შორის მოხვდება (ყველა სახეობაში და დისტანციაზე ცალ-ცალკე), საქალაქო შეჯიბრებაში გამოვა. ასეთივე პრინციპით გაიმართება შემდგომი ეტაპები (რესპუბლიკური, ზონალური და საკავშირო). რა თქმა უნდა, ის, ვინც პირველ ტურნირებში ცუდად იასპარეზებს (ან საერთოდ არ გამოვა), ყოველგვარ შემდგომ შეჯიბრებას ეთიშება წლის პირველ ნახევრამდე. ამასთან, გუნდური შედეგებისთვის ჩათვლას იძლევა საუკეთესო შედეგების განსაზღვრული რიცხვი და არა ყველა სპორტსმენის ტექნიკური მაჩვენებელი, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

მაშ ასე, ხანგრძლივი „არდადეგების" შემდეგ თბილისელმა მოცურავეებმა კვლავ აიღეს სტარტი. მათ უკვე იასპარეზეს აუზის პირველობებში და მერე „შრომითი რეზერვების" საცურაო აუზში ქალაქის ჩემპიონატში სცადეს ძალა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს", „ლოკომოტივის", „განთიადის", „შრომითი რეზერვებისა" და განათლების განყოფილების ნაკრები გუნდები. სარბიელზე გამოვიდნენ „ბურევესტნიკისა" და „სპარტაკის" მოცურავეებიც, მაგრამ ამ კოლექტივებს გუნდები სრული შემადგენლობით არ გამოუყვანიათ. ეს მით უფრო საწყენია, რომ სპარტაკელებმა შარშან პროფსაბჭოს რესპუბლიკურ სპარტაკიადაში I ადგილი დაისაკუთრეს. რა მოხდა? საქმე ისაა, რომ მაშინ მათ განათლების განყოფილების სპორტსმენებით ჰყავდათ გუნდი დაკომპლექტებული, ახლა კი, როგორც ვთქვით, მოსწავლეები ცალკე ასპარეზობდნენ და სპარტაკელებს სათანადო „დახმარება" ვერ გაუწიეს.

მიუხედავად იმისა, რომ მოცურავეთა სეზონი ახლა დაიწყო, რამდენიმე სპორტსმენმა მაინც წარმატებით იასპარეზა. ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა, 19 წლის სპორტის ოსტატმა ლიუდმილა მარღანიამ ახალი რესპუბლიკური რეკორდები დაამყარა 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდნენ 15-16 წლის ჭაბუკები და მოზრდილები. მათ ამ შეჯიბრებაში სპორტის ოსტატის სამი ნორმატივი აჩვენეს (შარშანდელ რესპუბლიკურ ტურნირში ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა).

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ქალებზე, რომლების უმრავლესობამ I თანრიგის შედეგიც კი ვერ უჩვენა.

**ა. გურასაშვილი.**

* * *

აი, გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები:

**13-14 წლის გოგონები.** **თავისუფალი სტილი.** 50, 100, 400 მ. ვ. პროსკურინა — შესაბამისად, 32,2; 1.09,7; 5.43,5; 800 მ. ი. კონდრატიუკი (ორივე — „განთიადი") — 11.59,8. **ბრასი.** 100 მ. კირდიანოვა — 1.27,3; 200 მ. ა. ყულიჯანოვა (ორივე — „დინამო") — 3.08,7. **გულაღმა.** 100 და 200 მ. პროსკურინა — 1.23,2 და 2.57,7. **ბატერფლაი.** 100 მ. კონდრატიუკი — 1.28,5; 200 მ. ნ. ზარეცკაია („დინამო") — 3.59,6. **კომპლექსური.** 200 მ. პროსკურინა — 2.57,7.

**15-16 წლის გოგონები.** **თავისუფალი სტილი.** 100 მ. ი. ზოტოვა („განთიადი") — 1.10,2; 200 მ. მ. ყულიჯანოვა—2.35,5; 400 და 800 მ. ნ. სუშნიკოვა (ორივე — „განთიადი") — 5.37,8 და 11.46,3. **ბრასი.** 100 მ. ა. კარგანოვა (განათლების განყოფილება) — 1.27,9; 200 მ. მ. შავდია („დინამო") — 3.08,0. **გულაღმა.** 100 და 200 მ. სუშნიკოვა — 1.18,1 და 2.50,8. **ბატერფლაი.** 100 მ. ზოტოვა — 1.17,4; 200 მ. ს. ნუქიფიშვილი („დინამო") — 3.05,0. **კომპლექსური.** 200 და 400 მ. ზოტოვა—2.53,6 და 6.12,3.

**ქალები.** **თავისუფალი სტილი.** 100 მ. ლ. ოსიპოვა („ბურევესტნიკი") — 1.10,8; 200 და 400 მ. ს. კოტოვა—2.41,7 და 6.03,0; 800 მ. თ. ლეკვეიშვილი (ორივე — „დინამო") — 12.05,5. **ბრასი.** 100 და 200 მ. ლ. მარღანია („დინამო")— 1.22,4 და 2.57,7. **გულაღმა.** 100 და 200 მ. ლეკვეიშვილი — 1.12,7 და 2.39,5. **ბატერფლაი.** 100 მ. მარღანია — 1.13,3. **კომპლექსური.** 200 და 400 მ. ვ. ბახი („დინამო") — 2.56,2 და 6.22,3.

**13-14 წლის ბიჭები.** **თავისუფალი სტილი.** 50 მ. გ. დობორჯგინიძე — 30,6; 100 მ. თ. ბახუტაშვილი — 1.06,2; 400 და 800 მ. ს. მაკაროვი (სამივე — „დინამო")— 5.09,8 და 10.33,9. **ბრასი.** 100 და 200 მ. ბახუტაშვილი — 1.18,8 და 2.59,9. **გულაღმა.** 100 და 200 მ. ი. ნიკაგოსოვი („დინამო") — 1.16,7 და 2.44,8. **ბატერფლაი.** 100 მ. ბახუტაშვილი — 1.14,8; 200 მ. ნიკაგოსოვი — 2.57,8. **კომპლექსური.** 200 და 400 მ. ნიკაგოსოვი — 2.42,0 და 5.57,0.

**15-16 წლის ბიჭები.** **თავისუფალი სტილი.** 100 მ. ი. სემიონოვი („დინამო")—59,3; 200 მ. ვ. თხორი (განათლების განყოფილება)— 2.15,1; 400 მ. ა. იორდანიშვილი („შრომითი რეზერვები") — 4.45,5; 1500 მ. სემიონოვი — 19.25,0. **ბრასი.** 100 და 200 მ. ა. იევლევი („დინამო") — 1.12,2 და 2.40,0. **გულაღმა.** 100 და 200 მ. ვ. გონჩაროვი („დინამო") — 1.07,7 და 2.31,4. **ბატერფლაი.** 100 მ. დ. სირაძე („დინამო") — 1.10,9; 200 მ. ს. მარგიევი (განათლების განყოფილება) — 3.00,9. **კომპლექსური.** 200 მ. სემიონოვი — 2.31,7; 400 მ. იორდანიშვილი — 5.23,1.

**ვაჟები.** **თავისუფალი სტილი.** 100 მ. ა. არტამონოვი („განთიადი")—1 წუთი. 200 მ. ვიქტ. ონუფრიენკო („შრომითი რეზერვები") — 2.13,0; 400 და 1500 მ — ა. იოაკიმიდი („დინამო")—4.37,0 და 18.20,0. **ბრასი.** 100 და 200 მ. ი. კირდიანოვი („დინამო") — 1.10,0 და 2.32,5. **გულაღმა.** 100 და 200 მ. ვ. სნიმშჩიკოვი („დინამო") — 1.07,2 და 2.25,7. **ბატერფლაი,** 100 და 200 მ. იოაკიმიდი — 1.06.0 და 2.23,0. **კომპლექსური.** 200 მ. კირდიანოვი — 2.25,0; 400 მ. იოაკიმიდი — 5.04,0.

**გუნდური.** „დინამო" — 1083 ქულა, „განთიადი" — 345, განათლების განყოფილება — 199.





* * *

**სურათებზე:** ზევით — ლ. მარღანია (დგას) და მ. ყულიჯანოვა; ქვევით — ა. იორდანიშვილი კომპლექსური ცურვის დროს.

ფოტო ავტორისა.

ისევ ჭრივის მტკივნეულ საკითხებზე

# თავიდათავი მასობრიობაა...

კარგა ხანია გაზეთ „ლელოს" ფურცლებზე იბეჭდება წერილები ჩვენს რესპუბლიკაში ჭრივის ჩამორჩენის თაობაზე. სპორტის ამ სახეობაში მრავალი წლის მუშაობა და გამოცდილება უფლებას მაძლევს ვილაპარაკო ქართველ მოჭრივეთა წარუმატებლობის მიზეზებზე და ნაკლოვანებათა მოკლე დროში გამოსწორების გზებზე.

ცნობილია, სპორტში წარმატებათა თავიდათავი მასობრიობაა. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჭრივში? საკმარისია ითქვას, რომ, სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით, ჭრივის, ასე ვთქვათ, გეოგრაფია ძალიან ვიწროა: ეს სახეობა საქართველოს მხოლოდ შვიდ ქალაქშია დანერგილი. ამ შვიდიდანაც ზოგიერთი ქალაქის წარმომადგენლები რესპუბლიკის პირველობებში არ მონაწილეობენ. რატომ? იმიტომ, რომ ზოგიერთი მწვრთნელი კეთილსინდისიერად არ ეკიდება თავის საქმეს. აბა, რით უნდა ავხსნათ, რომ სამხრეთ ოსეთის, ფოთისა და რუსთავის მოჭრივეებს საქართველოს შარშანდელ გუნდურ პირველობაში არ უასპარეზიათ? ეს მით უფრო საწყენია, რომ ამ ქალაქებში ჭრივის ჯგუფები საკმაო რაოდენობითაა და მათზე გარკვეული თანხაც იხარჯება.

ჩამორჩენილობის კიდევ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიმაჩნია სპორტული ინვენტარისა და ბაზების უკმარობა. ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა თბილისში, მაგრამ აქაც ყველაფერი რიგზე როდია. მოჭრივეებს პირდაპირ ოცნებად ექცათ საწვრთნელი ხელთათმანები და სავარჯიშო „ტომარა". როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

გაოცებას იწვევს, რატომ გააუქმეს სპორტკლუბ „სინათლის" ჭრივის სპეციალიზებული დარბაზი? მით უმეტეს, რომ ამ ბაზას საკმაოდ კარგი ტრადიციები ჰქონდა. აქ წლების მანძილზე ვარჯიშობდნენ საქართველოს, „განთიადისა" და „სპარტაკის" ნაკრები გუნდები. ამ დარბაზში აღიზარდა ბევრი ცნობილი მოჭრივე, იმართებოდა საკლასიფიკაციო შეჯიბრებები და სამატჩო შეხვედრები.

ახლა კი შეჯიბრებების შესახებ. ქართველი მოჭრივეები ძალიან იშვიათად გამოდიან სარბიელზე. ეს ერთობ აფერხებს მათს შემდგომ დაოსტატებას. ანბანური ჭეშმარიტებაა: სპორტსმენი შეჯიბრებებში ხვეწს და იმაღლებს ოსტატობას. ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზიც სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. ხშირია შემთხვევები, როცა საკავშირო შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის მოჭრივე არც ტექნიკურად და არც ტაქტიკურად არ ჩამოუვარდება მეტოქეს, მაგრამ გამოუცდელობის გამო აგებს ბრძოლას.

კარგი იქნება, თუ გაიმართება წარსულში ცნობილი, აწ განსვენებული მოჭრივეების ბ. კალაძისა და ბ. მელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები.

დაბოლოს, ჩემი აზრით, ურიგო არ იქნება, თუ ჭრივის ჯგუფებს გახსნიან გორში, ზუგდიდში, ზესტაფონში, მახარაძესა და უაზნეგში, აგრეთვე, უმაღლეს სასწავლებლებში. რაც მთავარია, ჭრივის სექციები უნდა ჩამოყალიბდეს სპორტულ სკოლა-ინტერნატებში.

**ა. გიორგაძე,**

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან არსებული უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 სკოლის მწვრთნელი ჭრივში.



## ბულგარელთა დახმარებით

ლიბიის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქ ბენგაზში ბულგარელი სპეციალისტების დახმარებით სპორტული კომპლექსი აიგო.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: კომპლექსის საერთო ხედი.

ცენტრალფოტო — საკდესი.

### ობიექტივში მსოფლიო



## „მწვანე საოცრება"

მონაკოს საავტომობილო სალონის დამთვალიერებლები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ამერიკელი ა. არფონსის „მწვანე საოცრებით", რომელიც საათში 980 კმ სისწრაფეს ავითარებს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მანქანას ამზადებენ საცდელი რბოლისთვის ნებიბერგში, „ლიუფტვაფეს" ბაზაში.

# მედლებამდე ნახევარი გზაა

ცსკა-ს და ალმა-ათის „ბურევესტნიკის" ფრენბურთელმა ვაჟებმა ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტური დაუმარცხებლად ჩაატარეს და 17-დან 15 ქულით სათავეში ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს. მოსკოვსა და კიევში გამართული მატჩებით უმაღლესი ლიგის გუნდებმა ჩემპიონატის ნახევარი დაამთავრეს.

ლიდერთა უახლოეს მეტოქეებს — „კალევს" (ტალინი), „ლოკომოტივს" (კიევი) და ასკ-ს (დონის როსტოვი) 10-10 ქულა აქვთ. ვფიქრობთ, სწორედ ისინი იქნებიან ბრინჯაოს მედლების პრეტენდენტები, რადგან შემდეგი ჯგუფი — აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის გუნდი (ბაქო), „რადიოტეხნიკი" (რიგა), „ზვეზდა" (ვოროშილოვგრადი) და „ბურევესტნიკი" (ხარკოვი) — 3 ქულით ჩამორჩება. განსხვავება თითქოს არც ისე დიდია, მაგრამ ეს გუნდები ჯერჯერობით უთანაბროდ გამოდიან და სტაბილურ თამაშს ვერ მიაღწიეს.

სატურნირო ცხრილს ხურავენ ოდესის „ბურევესტნიკი", ირკუტსკის „დინამო" (5-5 ქულა) და ლენინგრადის „ავტომობილისტი" — 4.

ჩემპიონატის ლიდერები უკვე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ არმიელებმა გაიმარჯვეს — 3:1 და 3:2. მათ კიდევ ერთი მატჩი აქვთ ჩასატარებელი. როგორც სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელი ი. კლეშჩევი ამბობს, ალმაათელებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს თამაში კიევში. მართალია, შეხვედრების ნახევარში (2 მატჩი — ხარკოვის „ბურევესტნიკთან", ერთი — ლენინგრადის „ავტომობილისტთან") ჩემპიონებმა მხოლოდ 5-5 პარტიაში მიაღწიეს გამარჯვებას, მაგრამ ეს აიხსნება მათი მეტოქეების შეუპოვრობით, რომლებსაც სურთ თავი დააღწიონ სახიფათო ზონას: აუტსაიდერი ხომ დაბალ ჯგუფში გადადის.

წლევანდელი სეზონი ცსკა-ს აღორძინების სეზონად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ გუნდმა, რომელშიც მოთამაშეთა და მწვრთნელთა თითქმის მთელი შემადგენლობა შეიცვალა, კვლავ დაიკავა ლიდერის ჩვეული ადგილი. არმიელთა ახალმა მწვრთნელმა, ცსკა-ს ყოფილმა კაპიტანმა ი. ჩესნოკოვმა შეინარჩუნა მათი თამაშის მთავარი სტილი: მძლავრი თავდასხმა და საიმედო ბლოკი. გუნდმა მოიპოვა სიმტკიცე, მიაღწია ზუსტ ურთიერთშეთანხმებას. რაც მთავარია, არმიელები თამაშობენ მეგობრულად, კარგი განწყობილებით.

საბჭოთა ფრენბურთში კვლავ ძლიერდება მისწრაფება ტემპიანი, კომბინაციური თამაშისკენ. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ახლა უმაღლეს ლიგაში თითქმის არ არის გუნდი, რომელიც გამარჯვებისკენ გზას ძალისმიერი დარტყმებით ეძებდეს. ფრენბურთელები სულ უფრო ხშირად ანიჭებენ უპირატესობას ბურთის ზევიდან ორი ხელით მიღებას, შეუძლიათ იერიში წამოიწყონ პირველი გადაცემიდან, ან შექმნან კომბინაცია ისე, რომ ბურთი პირდაპირ ხელებში მიაწოდონ პარტნიორს.

ეს ყველაფერი კარგი ნიშანია, რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა მომავალი საერთაშორისო შეხვედრების წინ. უკვე 11 თებერვალს ალმა-ათის „ბურევესტნიკის" ფრენბურთელები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩში შეხვდებიან საფრანგეთის „რესინგს".

გაზაფხულზე სსრ კავშირის ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები ტრადიციისამებრ იაპონიას გაემგზავრებიან ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. ზაფხულში განზრახულია რიგასა და როსტოვში ჩატარდეს საერთაშორისო ტურნირები მსოფლიოს უძლიერესი გუნდების მონაწილეობით. გვესტუმრებიან იაპონელი ფრენბურთელები. სეზონის მთავარი შეჯიბრება იქნება მსოფლიო ჩემპიონატი ბულგარეთში (სექტემბერი).

ე. ზირუნი.

(საკდესის კორ.).

## [illegible]

● გორკი, 3 თებერვალი. 18 წლის ადგილობრივმა „მფრინავმა მოთხილამურემ" ი. კალპინმა დღეს აქ ყველას აჯობა პროფკავშირთა ჩემპიონატში. მეორე ცდაზე იგი 102,5 მეტრზე გადახტა.

● მოსკოვი, 3 თებერვალი. ნორჩ პიონერთა სტადიონის მანეჟში დაიწყო დინამოელ მძლეოსანთა ზამთრის პირველობა. წარმატებით იასპარეზა ახალგაზრდა ბაქოელმა სპრინტერმა ა. კორნელიუკმა, რომელიც 50 მეტრზე რბენაში უმაღლესი საკავშირო მიღწევის მეცხრე თანაავტორი გახდა — 5,6 წამი. ეს შედეგი 1967 წლიდან დგას ურყევად, როცა მოსკოველმა ა. ლებედევმა ასე სწრაფად გაირბინა „ზამთრის" ყველაზე მოკლე დისტანცია. კორნელიუკმა წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგი აჩვენა. ასეთივე წარმატებას მიაღწიეს პროგრამის კიდევ ორ სახეობაში. სვერდლოვსკელმა ჯ. ალანოვმა 3000 მ 8 წუთსა და 7,6 წამში გაირბინა, ხოლო მოსკოველმა ო. სტეპანენკომ 50 მ თარჯებით — 6,6 წამში. ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი კ. ბესონი (საფრანგეთი) ამ დღეს 800 მეტრზე რბენაში სეზონის ლიდერის „კვარცხლბეკიდან" 18 წლის გ. პროკუდინამ (ვოლოგდა) „ჩამოაგდო" — 2.10,3 აჩვენა.

● მორა, 3 თებერვალი. ჩრდილოეთ შვეციის ამ ქალაქში სტარტს აიღებს მსოფლიო კალენდრის უდიდესი სათხილამურო რბოლა — „ვაზა ლოპეტი". ამ შეჯიბრების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ რბოლაში უკვე ჩაეწერა მსურველთა სარეკორდო რაოდენობა — 8756 კაცი. „ვაზა ლოპეტის" რეკორდი ჯერჯერობით 8438 მოასპარეზეა (1968 წ.).

● გოსაუ (ავსტრია), 3 თებერვალი. ევროპის იუნიორ მოთხილამურეთა ჩემპიონატში 10 კმ-ზე ჭაბუკთა რბენა მოიგო ო. ბრამ (ნორვეგია) — 30.05,2. ა. სუსლოვი (ყაზახეთი) VI ადგილზეა — 31.24,0. ორჭიდში (10 კმ-ზე რბოლა და ტრამპლინიდან ხტომა) იმარჯვა გ. დეკერტმა (გდრ) — 427,675 ქულა. ლენინგრადელმა ა. ჰაიგინენმა V ადგილი დაიკავა — 386,050. ტრამპლინიდან ხტომაში პირველი იყო ბ. ეკშტაინი (გდრ) — 219,8 ქულა (75,5 და 77 მ). 3×5 კმ-ზე გოგონათა ესტაფეტაში ყველას აჯობეს ფინელებმა — 1:03.31,5. II ადგილზეა სსრ კავშირის ტრიო (რ. რეჰემია, ო. კალინინა, ო. როკო) — 1:04.28,1.

## ნორჩ «მუშკეტერთა» დავა

ოდესა. 8 თებერვალი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის იუნიორ მოფარიკავეთა პირად-გუნდური პირველობა. ეს იყო გენერალური რეპეტიცია მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც მარტის დამლევს გაიმართება მინსკში.

ხმლით მოფარიკავეთა შორის შეუდარებელი იყო მსოფლიოს ჭაბუკთა შარშანდელი ჩემპიონი ვ. რენსკი. დაშნით ბრძოლაში პირველობა არავის დაუთმო ა. სოლენკოვმა. რაპირისტ ვაჟთა შეხვედრებში გაიმარჯვა ა. ვოლოშინმა, ხოლო გოგონებში — ვ. ბუროჩკინამ.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაისაკუთრეს მოსკოველებმა, II — რსფსრ-ს მოფარიკავეებმა, III — ბელორუსიის წარმომადგენლებმა.

## მ. ნაიდორფის უარი

არგენტინელმა მოჭადრაკემ, დიდოსტატმა მ. ნაიდორფმა „დანარჩენი მსოფლიოს" გუნდის კაპიტან მ. ეივეს აცნობა, რომ უარს ამბობს სსრ კავშირ—„დანარჩენი მსოფლიოს" მატჩში მონაწილეობაზე.

ნაიდორფის უარის შემდეგ ეივემ ყოველი შემთხვევისთვის გააფართოვა ადრე გამოცხადებულ კანდიდატთა სია. დიდოსტატებს ფ. ოლაფსონსა და კ. დარგას (ერთ-ერთი მათგანი ნაიდორფის ადგილს დაიჭერს) დაუმატა დიდოსტატები ლ. ევანსი, პ. ბენკო (ორივე — აშშ), ვ. უნციკერი, ლ. შმიდი (ორივე — გფრ), ო. პანო (არგენტინა) და საერთაშორისო ოსტატი ე. მეკინგი (ბრაზილია).

### ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის

## ვეტერანი პირველია

სანტო-სტეფანო, 3 თებერვალი. დოლომიტის ალპებში გამართულ იტალიის ჩემპიონატში 30 კმ-ზე რბენაში ყველას აჯობა ამ ქვეყნის სათხილამურო სპორტის ვეტერანმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფ. ნონესმა — 28.29,0. იგი კვლავ სათავეში ჩაუდგა იტალიის ნაკრებს, რომელიც მაღალ ტატრებში (ჩეხოსლოვაკია) მსოფლიო პირველობისთვის იბრძოლებს.

## საბჭოთა ნაკრები — დაუმარცხებლად

ერევანი, 4 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა ტური. საქართველოს ნაკრებმა ჩეხიის გუნდთან კარგად დაიწყო შეხვედრა, მაგრამ შემდეგ ჩეხები დაწინაურდნენ და უპირატესობა არ დაუთმიათ. როცა გუნდები შესვენებაზე წავიდნენ, ანგარიში იყო 10:8 ჩეხიის ნაკრების სასარგებლოდ. მეორე ტაიმში ქართველმა ხელბურთელებმა უხეიროდ ითამაშეს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ — 16:22. უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს სპორტსმენებმა ვერ გამოიყენეს 4 შვიდმეტრიანი საჯარიმო.

დანარჩენი ორი შეხვედრა ასე დამთავრდა: სომხეთი — სსრ კავშირი (ახალგაზრდული) 13:25 (5:11), სსრ კავშირი I — ფინეთი 29:10 (14:5).

ბოლო ტურის წინ გათამაშების დაუმარცხებელი ლიდერია სსრ კავშირის I გუნდი (8 ქულა). II-III ადგილებს იყოფენ სსრ კავშირის ახალგაზრდული და ჩეხიის გუნდები (6-6 ქულა). საქართველოსა და სომხეთის ნაკრებ კოლექტივებს 2-2 ქულა აქვთ, ფინეთისას — 0.

დღეს ბოლო ტურია.

## აი, ვის უნდა მივბაძოთ

ახალბედა ბადმინტონისტებს შეუძლიათ მაგალითი აიღონ სწორედ იმ სპორტსმენებისგან, ვინც წლევანდელი საკავშირო კლასიფიკაციით საუკეთესო ათეულების სიაში მოხვდა. აი, ისინიც:

ქალები. 1. ი. ნატაროვა (დნეპროპეტროვსკი), 2. ლ. მარკოვა (ლენინგრადი), 3. ტ. კოჩეტკოვა (მოსკოვის ოლქი), 4. ნ. ავდიუნინა (მოსკოვი), 5. გ. გრინუმა (რიგა), 6. ნ. სუხარევა (მოსკოვი), 7. რ. ვალგმაა (ტარტუ), 8. ტ. შმაკოვა (მოსკოვის ოლქი), 9. ნ. იშინა (სვერდლოვსკი), 10. ლ. ლედნევა (ლენინგრადი).

ვაჟები. 1. ვ. შვაჩკო (კიევი), 2. ბ. ბარშახი, 3. კ. ვავილოვი, 4. ნ. პეშეხონოვი (ყველა — დნეპროპეტროვსკი), 5. ნ. ნიკიტინი (მოსკოვი), 6. ვ. ნიკიფოროვი, 7. ი. რუბანი (ორივე — დნეპროპეტროვსკი), 8. ე. ბლიტშტეინი (მოსკოვი), 9. ვ. როიზმანი (მინსკი), 10. მ. ჩერვიაკოვი (გორკი).

როგორც ხედავთ, განსაკუთრებით ისახელეს თავი დნეპროპეტროვსკელმა სპორტსმენებმა: საუკეთესოთა შორის ამ ქალაქის ექვს წარმომადგენელს ვხედავთ. როგორც ჩანს, დნეპროპეტროვსკში ბადმინტონი მასობრივ თამაშად იქცა.

ესტონელი მოსწავლე ვალგმაა მოზრდილთა ათეულში მეშვიდეა. რაც შეეხება გოგონათა საუკეთესო ათეულს, იგი აქ პირველია. უძლიერესთა ათეულებში წლეულს პირველად შევიდნენ რიგის, სვერდლოვსკის, გორკის და ტარტუს წარმომადგენლები. ბადმინტონის „გეოგრაფია" სულ უფრო ფართოვდება. როგორც სსრ კავშირის ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნ. რუბანმა გვითხრა, ახლა სსრ კავშირში ბადმინტონს მეოთხედი მილიონი კაცი თამაშობს.

წლევანდელი დიდი შეჯიბრებებიდან აღსანიშნავია სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი, რომელიც მინსკში გაიმართება (მარტი), გუნდური პირველობა კი პანევეჟისში ჩატარდება (სექტემბერი). მოზარდები თავიანთ საკავშირო პირველობას გაითამაშებენ ივანო-ფრანკოვსკში (ივლისი). მოსკოვის ბადმინტონისტთა ნაკრები აპირებს ძალა სცადოს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან.

პ. ხაჩკოვანიანი.

(საკდესის კორ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08042